პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 27 (18569) ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

მალე გაზაფხული დადგება

გაზაფხულის დადგომამდე ერთი თვეც აღარ დარჩა. დღეს სოფლის მშრომელის ფიქრი ნლევანდელი მოსავლის მტკიცე საფუძვლის ჩაყრას, თესლის და სასუქის მომარაგებას, ტექნიკის წესრიგში მოყვანას დასტრიალებს, ყველა მხვნელ-მთესველი გაზაფხულის შესვედრისათვის ზრუნვით ცხოვრობს. ამ კონკრეტული, გადაუდებელი საქმეების წინ წაგდებაზეა დამოკიდებული ბარაქიანი ჭირნახულის მოყვანა და ამდენად ყველანაირი სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება.

მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე შუაგული ნლის მოსავლის მისაღებად უნინარესად საქმე ეხება თესლის მომარაგებასა და მიწის დამუშავებას, რამეთუ სრულფასოვანი თესლი და კარგი ხნული უნვი მოსავლის საფუძველთა საფუძვლად იყო და არის მიჩნეული.

როგორია რესპუბლიკაში მაღალკონდიციური თესლის მომარაგების მდგომარეობა?

15 იანვრისათვის საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო ყოველგვარი თესლი გამოყოფილია 24.530 ტონა ნაცვლად 24.167 ტონისა. გადამეტებით შესრულდა საგაზაფხულო ხორბლის, ქერის, ლობიოს, სიმინდის, მზესუმზირას, მრავალნლოვანი ბალახების თესლის მომარაგების გეგმა-დავალებანი. მაგრამ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ შევსებულა შვრიის და სოიის თესლის ფონდები. პირდაპირ, მოურიდებლად, მთელი სიმკაცრით უნდა ითქვას, რომ სათესლე ფონდების შევსების შესაძლებლობებს ჯეროვნად არ იყენებენ ბოლნისის, სიღნაღის რაიონებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. მათ შესაბამისად 395, 406 და 546 ცენტნერი თესლი აკლიათ. ასეთივე უპასუხისმგებლობას ავლენენ თესლის კონდიციების ამაღლების საქმეში კახპის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელწყაროს, ბოლნისის, ნალკის, დმანისის, სამტრედიის რაიონების და წყალტუბოს ზონის საზოგადოებრივი მეურნეობები. ლაგოდეხის, გარდაბნის, მარნეულის, ზესტაფონის, ონის და ასპინძის რაიონებში არც ერთი ცენტნერი პირველხარისხოვანი თესლი არ ჰქონდათ იანვრის მეორე დეკადაში.

ამ რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, ეტყობა, შეხსენება სჭირდებათ, რომ თესვა მხოლოდ სრულფასოვანი, საღი თესლით უნდა ხდებოდეს, ვინაიდან ამ ფაქტორზეა დამოკიდებული არა მარტო მოსავლიანობა, არამედ პროდუქციის ხარისხიც.

ახლა, როცა ნლევანდელ მოსავალს ეყრება საფუძველი, უპრიანია განსაკუთრებული მზრუნველობა გამოვიჩინოთ ლობიოს — ამ ძვირფასი სასურსათო უხვცილიანი კულტურის წარმოების გადიდებისათვის. ამ მხრივ საქმის ვითარების ანალიზი მოწმობს, რომ ზოგ მეურნეობაში ჯეროვნად ვერ აფასებენ ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ ტრადიციული კულტურის მნიშვნელობას და მისი თესლის მომარაგებაზეც არ ზრუნავენ. მაგალითად, ლობიოს თესლი, საერთოდ, არა აქვთ თელავის რაიონის აკურის, ვანთის და ფშაველის კოლმეურნეობებს, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის, წითელწყაროს რაიონის ოზაანის, არბოშიკის და ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

საჭიროზე მეტი თესლის მარაგის შექმნა და მომზადება განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს იმიტომაც, რომ ზოგიერთ რაიონს მოუნევს გაადიდოს საგაზაფხულო ნაკვეთი, ვინაიდან საშემოდგომო კულტურების ნათესების ნაწილი უამინდობის გამო ჯერ კიდევ არ აღმოცენებულა, ამასთან მოსალოდნელია, ქარმა დაგვიზიანოს ნათესები. ასე რომ შესაძლოა ერთხელ დათესილის ხელახლა დათესვა დაგვჭირდეს. ეს გარემოება სოფლის მშრომელებს და მათს პარტნიორებს ავალებს ყველა ღონე იხმარონ იმისათვის, რომ არა მარტო გაადიდონ თესლის მარაგი და ორგანიზებულად დათესონ, არამედ უზრუნველყონ დაღუპული ან აღმოცენებელი საშემოდგომო ნათესების სრული კომპენსაცია, მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმების უცილობელი შესრულება.

ამ საქმეში და, საერთოდ, გაზაფხულისათვის სამზადისში დროული და დიდი უნდა იყოს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ყველა სამინისტროსა და უწყების წვლილი. ამას მოითხოვს მათგან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, რომელმაც ამ დღეებში საგანგებოდ იმსჯელა თესვის კამპანიისათვის — ხუთწლედის შუაგული ნლის უხვი მოსავლის მისაღებად ბრძოლის პირველი ეტაპისათვის მომზადების საკითხზე. პოლიტბიუროს სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ ყოველი რაიონი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა დროულად და ხარისხიანად ასრულებდეს მინდვრის გაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების ყველა ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებას.

ასევითვე მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ახალი მოსავლის მოსამზადებლად ზრუნვის საქმეში პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომლის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და მისი დამთავრების ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის შექმნა რესპუბლიკური შტაბი.

მხვნელ-მთესველებს თავიანთმა პარტნიორებმა 1983 წლის მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მიაწოდონ სასუქები, ნავთობპროდუქტები და მანქანა-ტრაქტორთა სათადარიგო ნაწილები იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას თესვის პერიოდში.

ტექნიკის მომზადება რესპუბლიკაში ცუდად არ მიმდინარეობს, მაგრამ შეშფოთების მიზეზი მაინც ცოტა როდი გვაქვს. „საქსახსოფლტექნიკის“ ოპერატიული მონაცემებით, 25 იანვრისათვის სათესელების შეკეთება ჭიანურდება ახალქალაქის, ასპინძის, მარნეულის და ნალკის რაიონებში. ტრაქტორების მხოლოდ 64-77 პროცენტია სამუშაოდ მომზადებული სამხრეთ ოსეთში, ამბროლაურის რაიონსა და ჭიათურის ზონაში.

მომავალი უხვი მოსავლისათვის მეტი პასუხისმგებლობა მართებს ნავთობპროდუქტების მომარაგების სახელმწიფო კომიტეტსაც, რომელიც ზოგ რაიონს რიტმულად ვერ აწვდის საწვავსაპოხს. მაგალითად, 20 იანვრისათვის წითელწყაროში საგეგმო 352 ტონა ბენზინის ნაცვლად შეტანილი იყო მხოლოდ 180 ტონა, 466 ტონა დიზელის საწვავის ნაცვლად — 176 ტონა.

ეს ფაქტები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ ყველა აგროსამრეწველო კომპლექსი და სოფლის მეურნეობის პარტნიორი საწარმო-ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს საშემსრულებლო დისციპლინას, რაც გაზაფხულისათვის მზადების საქმეს აფერხებს.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები სათავეში უნდა ჩაუდგნენ სოფლად სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის ტყვიაველთა და დმიტროველთა თაოსნობის გავრცელებას და ახალი მოჯნების მისაღწევად გაშლილ შეჯიბრებას, რათა საიმედო საფუძველი შევუქმნათ უხვ მოსავალს.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის პასუხი „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე

კითხვა. როგორ ეკიდებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიმართვას „ევროპის ხალხებისადმი“, რომელშიც მან წამოაყენა წინადადება, რომ სსრ კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა ამერიკის პირობებით ხელი მოაწერონ შეთანხმებას საშუალო სიშორის დედამინის ბაზირების რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ.

პასუხი. უწინარეს ყოვლისა, მთელი გარკვეულობით უნდა ვთქვა, რომ პრეზიდენტ რ. რეიგანის წინადადებაში ახალი არაფერია. საქმე ეხება — და ეს მაშინვე აღნიშნა მსოფლიოს ყველა საინფორმაციო სააგენტომ — ისევ იმ „ნულოვან ვარიანტს“. ის, რომ იგი სრულიად მიუღებელია საბჭოთა კავშირისათვის, ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია. მართლაც, განა შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ წინადადებაზე, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით უნდა მოსპოს ყველა თავისი საშუალო სიშორის რაკეტა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირეები შეინარჩუნებენ ამ კატეგორიის ყველა ბირთვულ საშუალებას, რომლებიც მათ აქვთ.

სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი არარეალისტური პოზიცია აფერხებს, და ეს კარგად არის ცნობილი, წინსვლას ჟენევის მოლაპარაკებაზე. ის, რომ ახლა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კვლავ დაადასტურა ეს პოზიცია, ერთ რამეს მოწმობს: შეერთებულ შტატებს არ სურს ეძიოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთმისაღები მორიგება და ამით განზრახ იწვევს ჟენევის მოლაპარაკების წარუმატებლობას.

მე უკვე ვთქვი, რომ სსრ კავშირი ერთ მხრივ განიარაღებაზე არ დათანხმდება. და თუ საქმე ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებამდე მივა, ამას ჩვენ სათანადო პასუხს გავცემთ. მაგრამ ეს ჩვენი არჩევანი როდი იქნება.

საბჭოთა კავშირი სხვა გზის მომხრეა. ყველაფერს აჯობებს, და ჩვენ წამოვაყენეთ კიდეც ეს წინადადება, საერთოდ არ გვქონდეს ევროპის ზონაში ბირთვული იარაღი — არც საშუალო სიშორის, არც ტაქტიკური იარაღი. რაკი ამერიკის შეერთებული შტატები ამას არ ეთანხმება, მზად ვართ დავეთანხმოთ ისეთ გადაწყვეტილებასაც, რომლის შესაბამისად საბჭოთა კავშირს არ ექნება იმაზე მეტი რაკეტა, ვიდრე უკვე აქვს ევროპაში ნატოს მხარეს. ამავე დროს უნდა მიგაღწიოთ მორიგებას, რომ ორივე მხარემ თანაბარ დონემდე შეამციროს საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის მატარებელი თვითმფრინავების რიცხვიც. ამგვარად, გვექნებოდა სრული თანასწორობა რაკეტების მიხედვითაც და თვითმფრინავების მიხედვითაც, ამასთან თანასწორობა გაცილებით უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე დღეს არის.

საბჭოთა კავშირი მზად არის ხელი მოაწეროს ასეთ შეთანხმებას. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თუ არის მზად ხელი მოაწეროს თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპებზე დაფუძნებულ ასეთ შეთანხმებას?

კითხვა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება თქვენ შეგხვდეთ იმ შეთანხმების ხელმოწერისათვის, რომელზეც იგი ლაპარაკობს. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

პასუხი. ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ უმაღლესი დონის შეხვედრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რთული პრობლემების გადაწყვეტისათვის. ეს განსაზღვრავს ჩვენს სერიოზულ მიდგომას მათდამი.

ჩვენთვის ეს პოლიტიკური ან პროპაგანდისტული თამაშის საკითხი როდია. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომლის მიზანი იქნება აქტუალურ პრობლემებზე ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა მიგნება, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარება, სასარგებლო იქნებოდა, როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოსათვის.

მაგრამ როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეხვედრის პირობად ასახელებს იმას, რომ საბჭოთა კავშირი დაეთანხმოს ევროპაში ბირთვული შეიარაღების პრობლემის გადაჭრის მის მიერ შემოთავაზებულ სრულიად მიუღებელ გადაწყვეტილებას, ეს სრულიადაც არ მოწმობს, რომ ამერიკის ხელმძღვანელობა სერიოზულად უდგება მთელ ამ საკითხს. ამის გამო შეიძლება მხოლოდ სინანული გამოვთქვათ.

საძმო გამოაჩინა

ეროვნული ფიზიკოსები

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი თავდადებით იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის სახელმწიფო დავალებათა უთუო და გადაჭარბებით შესრულებისათვის. აქ დიდი უურადღება ეთმობა საწარმოო შრომის დისციპლინის განმტკიცებას. მქსოველები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას „სანმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან ყველგან და ყველაფერში“.

გაერთიანების კოლექტივი ყოველწლეულად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. შემოხვევითი როდია, რომ 19 სახეობის ქსოვილიდან, რომლებსაც გაერთიანება უშვებს, 17 სახეობის პროდუქცია სახელმწიფო ხარისხის ნიშნით არის აღნიშნული.

სურათებზე: ასორტიმენტის კაბინეტის გამგე თამარ მღვდელაძე და „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის წევრი ლია მონიავა მსჯელობენ თბილისური აბრეშუმის ახალ ნიმუშებზე; სურათი საამქროში.

მ. დათიკაშვილის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაჯაფხული კარზეა

ვიდრე ჩაის ფოთლის კრეფა დაიწყებოდეს

სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო რემონტი ჭიანურდება

კარგი შრომითი ტრადიციები აქვს „საქსახსოფლტექნიკის“ მახარაძის გაერთიანების (მმართველი — ტექნიკის შეცნიერებათა კანდიდატი მ. კვირკველია) კოლექტივს. იგი ყოველთვის დროულად არემონტებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ასეა წლეულსაც. მან რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შარშან IV კვარტალში და წელს იანვარში 246,5 ათასი მანეთის ტექნიკური მომსახურების სამუშაოები შეუსრულა.

ბევრი მექანიზატორი დგას მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ვახტზე. გაზაფხული მექანიზატორებისაგან გამართულ მანქანებს მოითხოვს. ეს კარგად იციან ხარატმა დურმიშხან კვაჭანტირაძემ, ზინკლებმა საბა დათუნაშვილმა, მამია ხომერიკმა, გურამ შავიშვილმა, ნიკოლოზ კოსიჩკინმა; ტრაქტორისტებმა ქარუმ ურუშაძემ, გივი ჯინჭარაძემ და სხვებმა, რომლებიც სამუშაოთა ყოველდღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ერთი სიტყვით, მთელი კოლექტივი დამკვრელური ტემპით შრომობს, მაგრამ მათ შრომაში წინ ეღობებათ მთელი რიგი ხელისშემშლელი მიზეზები. აი, თუნდაც ასეთი ფაქტი: მანქანებისა და ტრაქტორების დაკომპლექტებული ძრავები სარემონტოდ მახარაძიდან ქარელისა და დიღმის ქარხნებში ჩაიქეთ, იქიდან კი, არცთუ იშვიათად, უხარისხოდ შეკეთებულ და ზოგჯერ ნახევრად გაძარცვულ ძრავებს უგზავნიან მახარაძეში. ეს ფაქტი ცნობილია დასახელებული ქარხნების ხელმძღვანელი მუშაკებისათვისაც, მაგრამ მახარაძელთა სამართლიან საყვედურს არაფრად აგდებენ, არავინ იცის, როდემდე გაგრძელდება ასე.

საყურადღებოა ისიც, რომ მახარაძელთა სპეციალიზებულების სახელოსნოში ამჟამად მხოლოდ თვითმავალ შასებსა და მათ ძრავებს არემონტებენ. „საქართველოს“ მარკის ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები შეკეთების მოლოდინში დგანან და ხელოსნებს ელიან. ისინი კი არ ჩანან, რადგან, როგორც მექანიზატორებმა გვითხრეს, ჯერ კიდევ შარშანდელი სეტემბრის შემდეგ ქ. თბილისიდან „საქსოფლმანქანას“ მახარაძელებისათვის არ მიუწოდებია არც ერთი სათადარიგო ნაწილი, რომლებიც ესოდენ საჭიროა ჩაის საკრეფი მანქანებისა შესაკეთებლად. უფრო მეტიც, სავალალო მდგომარეობაშია ჩაის საკრეფი და ბუჩქების სასხლავი სხვა მობილური აპარატების შეკეთების საქმეც, რაც კარგა ხანია ჭიანურდება. ნაწილების გაგზავნის დაპირებებს ბოლო არ უჩანს.

მიუხედავად ამისა, მექანიზატორები მტკიცე პირობას იძლევიან, რომ თუ სათადარიგო ნაწილებს ახლა მაინც მიაწვდიან, ჩაის საკრეფი მანქანების შეკეთებას პირველ აპრილამდე მორჩებიან. ამ მეტად საშური საქმით ახლა მაინც უნდა დაინტერესდეს „საქსახსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანების ხელმძღვანელობა. საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებს და მეჩაიეებს უნდა შევახსენოთ, რომ პლანტაციებში დროულად დაამთავრონ ზამთრის სამუშაოები, რათა მომზადებულნი შეხვდნენ ფოთლის კრეფის სეზონს.

საყურადღებოა ისიც, რომ ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურისა და დიაგნოსტიკის ლაბორატორიის შენობები გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ.

მექანიზატორებმა შემოგვჩივლეს, რომ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები ოდნავადაც არ ზრუნავენ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებლად. ამაზე მეტყველებს მათი მუშათა სასადილოს მომსახურების დაბალი დონე, აქ მუდამ ერთფეროვანი, უგემური კერძებით უმასპინძლდებიან. სულ მალე გაზაფხული მოვა, საჭიროა ყოველმხრივ მზად ვიქნიოთ ტექნიკა კარზე მომდგარი საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში შესასრულებლად.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

ვამრავლოთ წარმატებანი

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა 1983 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთ, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელები კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ შეჯიბრებას მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს და კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

მრეწველობაში

შეასრულონ სამრეწველო წარმოების გეგმა ვადამდე — 29 დეკემბრისათვის და გამოუშვან გეგმის დამატებით 6 მილიონი მანეთის პროდუქცია.

აწარმოონ გეგმის გადაჭარბებით უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქცია:

— პირველადი დამუშავების ბაიხარ ჩაი — 1 ათასი ტონა.

— ელექტროენერგია — 3 მილიონი კილოვატსაათი.

— საკონდიტრო ნაწარმი — 65 ტონა.

— ყურძნის ღვინო — 1500 დეკალიტრი.

— თევზას კონსერვი — 50 ათასი პირობითი ქილა.

გაზარდონ შრომის ნაყოფიერება სამრეწველო საწარმოებში გეგმასთან შედარებით 0,5 პროცენტით. ამ მიზნით:

— დანერგონ წარმოებაში 1 მილიონი მანეთი საერთო წლიური ეფექტის მქონე რაციონალიზატორული წინადადებანი.

განაახლონ სახალხო მოხმარების საქონლის ნომენკლატურა და გააფართოონ ასორტიმენტი, უზრუნველყონ 1,1 მილიონი მანეთი ღირებულების ამ საქონლის ზეგეგმითი წარმოება.

შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და მიიღონ ზეგეგმითი მოგება ავტონომიურ რესპუბლიკაში 450 ათასამდე მანეთის ოდენობით.

აწარმოონ 500 ათასი მანეთის ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქცია.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

გეგმის გადამეტებით გადაზიდონ საავტომობილო ტრანსპორტით 35 ათასი ტონა ტვირთი და გადაიყვანონ 250 ათასი მგზავრი. სატვირთო ავტომობილების გარბენის გამოყენების კოეფიციენტი გაზარდონ 59,2 პროცენტამდე. გაადიდონ გეგმის გადამეტებით:

— სატვირთო ავტომობილის მუშაობის საშუალო-სადღეღამისო ხანგრძლივობა — 0,1 პროცენტით;

— სატვირთო ავტომობილების, ავტობუსებისა და ტაქსების გამოყენების კოეფიციენტი — 0,1 პროცენტით;

საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტით გეგმის გადაჭარბებით გადაიყვანონ შესაბამისად 5 ათასი და 6 ათასი მგზავრი.

კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობას გადააჭარბონ 8000 მანეთით, სატარიფო შემოსავლის გეგმას — 12 ათასი მანეთით. უზრუნველყონ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური დავალება შესრულდეს 0,4 პროცენტის გადაჭარბებით. გახსნან ორი ახალი კავშირგაბმულობის განყოფილება. გაადიდონ გეგმის დამატებით საქალაქო სატელეფონო სადგურების აბონენტთა რიცხვი — 20, ზოლო სასოფლო სატელეფონო სადგურებისა — 15 ნომრით.

სოფლის მეურნეობაში

გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში 256 მილიონ მანეთამდე.

დაამზადონ გეგმის გადაჭარბებით:

ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 3 ათასი ტონა.

ციტრუსი — 2 ათასი ტონა.

რძე — 100 ტონა.

კვერცხი — 200 ათასი ცალი.

გაადიდონ დამზადების მოცულობა:

უხეში საკვებისა — 72 ათას ტონამდე.

აქედან თივისა — 30 ათას ტონამდე.

საკვები ძირხვენებისა — 6 ათას ტონამდე.

სილოსისა — 75 ათას ტონამდე.

მოაწყონ ტყეთაღდგენის სამუშაოები 3.155 ჰექტარ ფართობზე, განახორციელონ ახალი ტყის კულტურების თესვა და რგვა 405 ჰექტარზე.

სატყეო მეურნეობის მუშაკები გამოუშვებენ 30 ათასი მანეთის ზეგეგმითს მრეწველობის პროდუქციას. დაამზადებენ 70 ტონა ხორცს, 140 ტონა სიმინდის მარცვალს, 220 ტონა თივას და სხვა პროდუქციას.

კაპიტალურ მშენებლობაში

ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ წლის დამლევამდე 500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გეგმის გადამეტებით.

ამოქმედონ სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების სახსრებით შემდეგი უმნიშვნელოვანესი საწარმო სიმძლავრენი:

1. ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური.
2. კინდღის შეფრინველეობის ფაბრიკის მე-2 რიგი.
3. „აფხაზმომარაგების“ უნივერსალური ბაზა.

წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებათა სისტემატური განხორციელების მეშვეობით დაზოგონ ძირითადი საშენი მასალები:

— ხე-ტყე — 90 კუბური მეტრი.

— ლითონი — 35 ტონა.

— ცემენტი — 200 ტონა.

მოსახურების სფეროში

ვადამდე შეასრულონ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმა. საზოგადოებრივ კვებაში საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმას გადააჭარბონ 80 ათასი მანეთით, აქედან სამომხმარებლო კოოპერაციაში 40 ათასი მანეთით.

გამოძებნონ საქონლის დამატებითი რესურსები საქონელგაცვლის ოპერაციების, დეცენტრალიზებული შესყიდვის წესით მათი შეტანის გზით — 3 მილიონი მანეთის ოდენობით, აქედან სამომხმარებლო კოოპერაციაში — 2 მილიონი მანეთის ოდენობით. სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში გაზარდონ თვითმოსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვა 64 პროცენტამდე, ზოლო სამომხმარებლო კოოპერაციის ბაზით გადიდონ საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 2 პროცენტის მოცულობით.

30 დეკემბრისათვის შეასრულონ საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის საგეგმო დავალებანი და გაუწიონ მოსახლეობას გეგმის გადამეტებით 60 ათას მანეთზე მეტი მოცულობის მომსახურება.

კვლავაც განავითარონ სოფლის საყოფაცხოვრებო სამსახური, დანერგონ სოფლად 10 ახალი სახეობის მომსახურება.

„აფხაზმომარაგების“ სისტემაში უზრუნველყონ გეგმის გადაჭარბებით 160 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ტურიზმისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში

ჩაბარდნ დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო სკოლებში სწავლებაში 85270 მოსწავლე. მოიცვან ყველა ფორმის საღამოს, დაუსწრებელი სწავლებით 9.700 მოსწავლე.

უზრუნველყონ, რომ გაიხსნას 558 ბავშვთა ბაღი ჯგუფი 77.140 ბავშვისათვის. გაზარდონ დასასვენებლად ადგილების რიცხვი სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში 11.200-მდე.

ჩამოაყალიბონ დამხმარე მეურნეობა 7 სკოლა-ინტერნატში.

დაამთავრონ კაპიტალური და შესაბამისი სასწავლო-საწარმოო მოწყობილობით ქალაქების ტყვარჩელისა და გაგრის სასწავლო-საწარმოო კომბინატების დაკომპლექტება.

უზრუნველყონ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება, გაზარდონ მოზრდილი მოსახლეობისა და მოზარდთა დისპანსერიზაციის მაჩვენებელი საშუალოდ 2 პროცენტით.

დიაგნოსტიკის, ავადმყოფობათა გამოკვლევისა და მკურნალობის გაუმჯობესების გზით შემცირონ შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის გამომწვევი ავადობა 1-1,5 პროცენტით.

შეასრულოს საფეთაჟო სამმართველომ საქონელბრუნვის გეგმა 1983 წლის 20 დეკემბრამდე.

აფხაზეთის პროფკავშირთა კურორტების მართვის საოლქო საბჭოს სისტემაში აფხაზეთის ჯანმრთელობის კერებში სამკურნალოდ და დასასვენებლად მიიღონ გეგმით გათვალისწინებულზე 600-ით მეტი კაცი; უზრუნველყონ საოჯახო დასვენების ორგანიზაციის შემდგომი განვითარება და სრულყოფა. მიიღონ საბჭოს ჯანმრთელობის კერებში გეგმით გათვალისწინებულზე 900-ით მეტი ბავშვი.

აფხაზეთის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს სისტემაში შეასრულონ წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 25 დეკემბრისათვის, მოემსახურონ გეგმის გადამეტებით 10 ათას ექსკურსანტს. მიიღონ ზეგეგმითი მოგება 30 ათასი მანეთის ოდენობით.

კულტურის დარგში

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს თეატრალურ-სანახაობითმა ორგანიზაციებმა განახორციელონ გეგმით გათვალისწინებულზე სამით მეტი სპექტაკლის დადგმა და 50 კონცერტის გამართვა. უზრუნველყონ კინოშემოსავლის წლიური გეგმის შესრულება 28 დეკემბრისათვის, მიიღონ მთლიანი შემოსავალი მილიონ 908 ათასი მანეთის ოდენობით. გაზარდონ მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა 445-მდე, საკლუბო დაწესებულებებისა — 339-მდე, კინოდანადგარებისა — 237-მდე.

გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის ხაზით

ვადამდე შეასრულონ ლიტერატურის გამოშვების გეგმა, 28 ივნისისათვის დაამთავრონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების გამოშვება. გამოსცენ გეგმის გადამეტებით წიგნები, ბროშურები, ჟურნალები და სხვა ბეჭდვითი პროდუქცია 46 ათასი ანაბეჭდი ფურცლის მოცულობით. უზრუნველყონ წიგნის ნაბეჭდი პროდუქციის რეალიზაცია — 25 ათასი მანეთით, სხვა საქონლისა — 40 ათასი მანეთით.

* * *

კისრულობენ რა ამ სოციალისტურ ვალდებულებებს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელები ტრადიციულ შეჯიბრებაში იწვევენ აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებს.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია ზრომითს კოლექტივებში და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

1943 წელი, 2 თებერვალი

კაცობრიობის ისტორია არასოდეს დავიწყებს ამ დღეს — სტალინგრადის გმირული ეპოპეის გამარჯვებით დაგვირგვინების დღეს

შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

31 იანვარს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ე. ჭართველიშვილმა მიიღო საქართველოში მყოფი მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის პრეზიდენტი რ. ლ. კინტანარი.

ამხ. დ. ლ. ჭართველიშვილი სტუმარს ესაუბრა საქართველოს ისტორიაზე, საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, იმაზე, თუ რა დახმარებას უწევს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური სახალხო მეურნეობას.

რ. ლ. კინტანარმა მადლობა გადაიხადა მასპინძლობისათვის. მან აღნიშნა, თუ რამდენად მაღალია სსრ კავშირში, და კერძოდ, საქართველოში, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის განვითარების დონე, როდენ აქტუალური და პერსპექტიულია საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევები ჰიდრომეტეოროლოგიისა და გაჟუჟყიანებისაგან ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოსადმი კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი თ. ი. თურმანიძე, სსრ კავშირ-ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოსადმი კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი გ. გ. სვანიძე. (საქინფორმი).

ამბავი ასს რესპუბლიკიდან

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტ

დისციპლინის სტატისტიკა: რას გვეუბნება იგი?

ნებისმიერი მართვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ინფორმაცია — სამეურნეო, ეკონომიკური და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმსა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომლებმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგები, ხუთწლედის მეორე წლის შედეგები და მესამე წლის ამოცანები განიხილეს, კერძოდ, აღინიშნა, რომ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საინფორმაციო სამსახურს — სტატისტიკას, კერძოდ, დისციპლინის სტატისტიკას.

ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს რ. ი. ხუხუნაშვილს სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

კითხვა: მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ სათანადო დისციპლინა — შრომის, საგეგმო, სახელმწიფო დისციპლინა — არ გვექნა, 'სწრაფად ვერ ვიგლეთ წინ. როგორ ახასიათებ სინფორმაციო სამსახური დისციპლინის დაცვას, მის რამელი მხარეებს მოიცავს ეს აღრიცხვა?

პასუხი: ჩვენი რესპუბლიკა ამ საქმის პიონერი გახლავთ. 1977 წლის ივლისიდან შემოღებულ იქნა ანგარიშგება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. იგი ითვალისწინებს შრომის, საგეგმო, სახელშეკრულებო და საფინანსო დისციპლინის მდგომარეობას. ამ მიმართულებათა შესახებ მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლებლობა მოგვცა სულ სხვა თვალით შეგვეხედა გაცდენების, კადრების დინამიკის, მოცდენისა და სამუშაო დროის სხვა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისათვის. აქამდე არსებული ანგარიშგება ახასიათებდა მხოლოდ მუშათა მიერ სამუშაო დროის გამოყენებას. ახლა კი სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, თუ როგორ იცავს დისციპლინას საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მთელი პერსონალი.

ანგარიშგების ახალმა სისტემამ უზრუნველყო უფრო უტყუარი მონაცემების მიღება, მაგალითად, მშენებლობაში შრომის დისციპლინის მდგომარეობის მაჩვენებლებს წინათ ვიღებდით სამშენებლო ტრესტებისა და დამოუკიდებელი სამმართველოებისაგან, ახლა კი მათ წარმოგვიდგენენ ტრესტში შემავალი სამშენებლო სამმართველოებიც. მონაცემების შედარება შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ზუსტად გავითვალისწინოთ სამუშაო დროის ფაქტობრივი დანაკარგები და კადრების დინამიკა დარგში.

კითხვა: როგორ გამოიყენება კრებსითი ინფორმაცია დისციპლინის შესახებ?

პასუხი: ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ამზადებს და რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს წარუდგენს ანალიზურ მასალას. მისი ნაწილი პრესაში ქვეყნდება. ანგარიშგების დისციპლინის მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია ეძლევათ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებმაც უნდა გამოიყენონ იგი ჩვენს რესპუბლიკაში არსებული წესის შესაბამისად ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების საკითხის განხილვის დროს.

კითხვა: რას გვეუბნება ინფორმაცია, რომელსაც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იღებს?

პასუხი: იგი ბევრს გვეუბნება, მაგრამ მე მინდა შევეხო მხოლოდ იმას, რაც ჩვენი საუბრის საგანს შეადგენს. სტატისტიკური მონაცემები მოწმობს: დისციპლინა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მტკიცდება. სამუშაო დროის დანაკარგები კლებულობს, კადრების დენადობა მცირდება. და მაინც, სამუშაო დროის დანაკარგები დიდია. ამას მოწმობს თუნდაც ასეთი გაანგარიშება. ყოველწლიურად სამუშაო დროის დანაკარგების ლიკვიდაციის შედეგად შეიძლებოდა დამატებით მიგვეღო 100 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქცია.

კითხვა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმსა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს ახალი გადიდებული მოთხოვნები წაუყენეს. რა არის ამ მოთხოვნების არსი და როგორ ხორციელდება ისინი?

პასუხი: აღნიშნულ ფორუმებზე ითქვა, რომ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მარტოოდენ როდი უნდა კრებდეს, ასისტემებდეს და დანიშნულებისამებრ გზავნიდეს ინფორმაციას, რესპუბლიკის მთავარ საინფორმაციო სამსახურს ახლა მართებს უფრო ღრმად გააანალიზოს სტატისტიკური მონაცემები ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მიმართულებათა მიხედვით, გამოავლინოს ტენდენციები, შეიმუშაოს წინადადებები არასასურველი მოვლენების აღმოსაფხვრელად, აღვაწოს თავის წარდგინებათა გამო ღონისძიებათა განსახორციელებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა უფრო აქტიურად უნდა იბრძოლონ დისციპლინის დასაცავად მის ყველა ასპექტში. ახლა მიმდინარეობს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ერთგვარი რეორგანიზაცია, იქმნება ეკონომიკური ანალიზის, რეგიონული სტატისტიკის სამსახურები. ცენტრალური აპარატისა და რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის დარგობრივ განყოფილებებში დისციპლინის სტატისტიკისათვის მუშაობის გაფართოება, დისციპლინის სტატისტიკის განყოფილებისათვის კრებსითი ფუნქციების დატოვებასთან ერთად, შესაძლებლობას მოგვცემს უახლოეს ხანში ავამაღლოთ ინფორმაციის დამუშავების, გაცემისა და ანალიზის ოპერატიულობა.

რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აპარატს მუშაობის მიზანია უზრუნველყოს იმ გზრდილი ამოცანების შესრულება, რომლებსაც დღეს უყენებენ სტატისტიკის ორგანოებს.

ბინათმშენებლობა ახალ საფეხურზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმებზე უურადღება დაეთმო სახბინათ მშენებლობის მთელ რიგ საკითხებს, ხოლო ამას წინათ თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივთან შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „ჯერ კიდევ სერიოზული ხაფანგები გვაქვს ხალხის ბინებით უზრუნველყოფაში“. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა „მთავართბილისმშენის“ უფროსს, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილეს ამხ. ბ. კვიციძეს და სთხოვა ინტერვიუ.

—თბილისში ბინათმშენებლობის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, გთხოვთ გვიამბოთ „მთავართბილისმშენის“ კოლექტივი წლეულს რას პირდება თბილისელებს, რა სიახლეა ბინათმშენებლობაში?

— „თბილისქალაქმშენი“ საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო საწარმოო გაერთიანებაა, რომელიც ჩვენს დედაქალაქში სახბინაო მშენებლობას აწარმოებს. იგი საშუალოდ წელიწადში რესპუბლიკის ბინათმშენებლობის მთელი მოცულობის 40 პროცენტს და მშენებლობის სამინისტროს სამუშაოთა მთლიანი მოცულობის 57 პროცენტს ასრულებს.

თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს სახბინაო მშენებლობა არა მარტო სოციალური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემაა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ქალაქ თბილისში დაჩქარებული სახბინაო მშენებლობის პროგრამის განხორციელებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, ადვილად წარმოსადგენია, როგორი რთული და პასუხსაგები მოვალეობა აკისრია „თბილისქალაქმშენის“ კოლექტივს. ყოველწლიურად დასახული გვაქვს სახბინაო მშენებლობის ზრდის ტემპის დაჩქარება. წლეულს, გაერთიანების არსებობის ისტორიაში „თბილისქალაქპროექტის“ მიერ დამუშავებული ეგრეთ წოდებული „გლდანის“ ტიპის სახლები, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა რატომღაც „ჩეხურ“ სახლებს უწოდებს. ჯერჯერობით მათზე მოთხოვნა დიდია. სწორედ ამან განაპირობა ჩვენს დედაქალაქში მსხვილბლოკიანი სახლების მშენებლობის დიდი ხვედრითი მოცულობა სხვა მოწინავე ქალაქებისაგან განსხვავებით.

საქმე ის გახლავთ, რომ დაჩქარებული სახბინაო მშენებლობის დღევანდელ მოთხოვნას მსხვილპანელიანი სახლების მშენებლობა უფრო შეესაბამება. ქარხანაში საკედლე პანელების დამზადების რაოდენობის გაზრდით საგრძნობლად მცირდება ამ სახლების მშენებლობის ხანგრძლივობა.

ამასთან ერთად გაერთიანება მუშაობს ახალი გაუმჯობესებული სერიის სახლების მშენებლობის ათვისებაზე. მაგალითად, № 14 სამშენებლო ტრესტმა ათვისა 9-სართულიანი 54-ბინიანი ეგრეთ წოდებული „ვეძისის“ ტიპის სახლების მშენებლობა. აქ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად, გაუმჯობესებულია შენობის გარეგნული სახე, რაც იერს შეუცვლის ქალაქის მიკრორაიონებს.

№ 10 სამშენებლო ტრესტმა შარშან საექსპლოატაციოდ გადასცა 16-სართულიანი 75-ბინიანი

ახალ საფეხურზე

პირველად, გათვალისწინებულია 90 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდების ათვისება და 530 ათასი კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა. ეს შარშანდელთან შედარებით 4 ათასი კვადრატული მეტრით მეტია. მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა ავითვისოთ 17 მილიონი მანეთით მეტი და საექსპლოატაციოდ უნდა ჩავაბაროთ 100 ათასი კვადრატული მეტრით მეტი ფართობი, ვიდრე გასულ ხუთწლედში. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველწლიურად დედაქალაქის მოსახლეობას გადავცემთ 9 ათასზე მეტ საცხოვრებელ ბინას.

ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება გაერთიანების ორი მძლავრი სამშენებლო ტრესტი — № 14, რომელიც გაერთიანების სამუშაოთა წლიური მოცულობის თითქმის ნახევარს ასრულებს, და № 10 მაღლივმშენი; ორი სახლთსაშენებელი კომბინატი, მიწისქვეშა სპეციალურ სამუშაოთა ტრესტი, საშენ მასალათა წარმოების გაერთიანებული კომბინატი და კოშკურა აწყობების სამმართველო.

შარშან გაერთიანების ამ ორგანიზაციებს მხარში ამოუდგა კიდევ ერთი სამმართველო — „საძირკველმშენი“. ამ სამმართველოს ჩამოყალიბების აუცილებლობა თვით პრაქტიკამ და მშენებლობის ტემპის ზრდის დაჩქარებამ გვიკარნახა. ეს სტრუქტურული ცვლილება შესაძლებლობას მოგვცემს ყოველწლიურად შევქმნათ მარაგნამეტი მომავალი წლისათვის.

გაერთიანების სამშენებლო ტრესტები და სახლთსაშენებელი კომბინატები აღჭურვილი არიან საწარმოო ბაზებით. ამ ბაზების საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 482 ათასი კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს შეადგენს. არსებული რეზერვების გამოვლენებით სამშენებლო ინდუსტრიის სიმძლავრე წლეულს 515 ათას კვადრატულ მეტრს მიაღწევს საგეგმო 486 ათასი კვადრატული მეტრის ნაცვლად. ამასთან ნავარაუდევია 550 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაწარმის გამოშვება.

აღნიშნული რეზერვები გამოვლინდა ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით. ამასთან განმტკიცდა შრომის დისციპლინა, რამაც საათანადო ნაყოფი გამოიღო. მნიშვნელოვნად გავადიდეთ ასაწყობი რკინაბეტონის გამოშვება. უკვე დავიწყეთ ფერადი ცემენტითა და მარმარილოს ნამსხვრევებით მოპირკეთებული პანელების დამზადება.

გაერთიანების კოლექტივი ძირითადად სამი ტიპის სახნაო მშენებლობას აწარმოებს. ვაშენებთ მსხვილპანელიან, კარკასულ-პანელიან და მსხვილბლოკიან სახლებს. მათ შორის ყველაზე დიდია მსხვილბლოკიანი სახლების ხვედრითი წილი, რომლებსაც № 14 სამშენებლო ტრესტი აშენებს (ტრესტის მმართველი ჯ. ხაზარაძე). ეს არის ექსპერიმენტული სახლი, რომელიც „იუგოსლავური მეთოდით“ აშენდა. ამ სახლში, უკვე დაენერგილისაგან განსხვავებით გაუმჯობესებულია ოთახების ინტერიერი. გარდა ამისა, შემცირდა მშენებლობის ღირებულება, შრომატევადობა და ძირითადი საშენი მასალების: ცემენტისა და, რაც მთავარია, ლითონის დანახარჯი.

ჩაბარდა აგრეთვე ახალი ტიპის მსხვილპანელიანი 12-სართულიანი სახლი ვაზისუბანში და 14-სართულიანი — თემქაში. 14-სართულიანი ექსპერიმენტული სახლის პროექტი, რომელიც თბილისის ზონალური ექსპერიმენტული დაპროექტების ინსტიტუტმა დამუშავა, საშალებით შეესაბამება ქალაქმშენებლობის თანამედროვე მოთხოვნებს. გაუმჯობესებულია მისი როგორც გარეგნული სახე, ისე შენობის შიდა დაგეგმარება, გაზრდილია საცხოვრებელი ფართობი, დამხმარე სათავსების რაოდენობა. ოთახზები განლაგებულია მოხერხებულად.

ექსპერიმენტული სახლის მშენებლობა წელს კიდევ უფრო გაფართოვდება. ქალაქის არქიტექტორებთან ერთად ინტენსიურად ვმუშაობთ ახალი ხუროთმოძღვრული ფორმებითა და ელემენტებით გაუმჯობესებული ტიპობრივი პროექტების შექმნაზე.

ცხადია, ყოველივე ეს მომართულია ბინათმშენებლობის ხარისხის და საცხოვრებელი სახლების გარეგნული იერის სრულყოფისათვის.

— დღესდღეობით ახალმოსახლეობა უფრო ხშირად რემონტით იწყება. რა ღონისძიებები ხორციელდება მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის?

— სამწუხაროდ, ეს ასეა. ჩვენს მიერ აშენებული სახლები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს: დაბალია სანტექნიკური სამუშაოების შესრულებისა და მოპირკეთების ხარისხი. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს პარკეტისა და სახურავი ნაწარმის ხარისხი. მოქალაქეები სამართლიანად უსაყვედურებენ მშენებლებს. დიახ, შეუწყნარებელია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ახალმოსახლეობა ბინაში რემონტის დაწყებას ნიშნავს.

ცხადია, აუცილებელია რადიკალური ღონისძიებანი ბინათმშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამის პირობები არის. გაერთიანებამ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობასთან ერთად დასახა და განახორციელა რიგი ღონისძიებებისა: დამუშავდა ხარისხის მართვის სისტემა, დაისახა გაერთიანების მოქმედების პროგრამა, რომელიც თვალისწინებს პროდუქციის ატესტაციას ხარისხის ნიშანზე, წამყვანი სპეციალისტების შემოქმედებითს მივლინებებს კავშირის მოწინავე ქალაქებში. დასახული ღონისძიებების შესრულების მუდმივ კონტროლს და შედეგების განხილვას ყოველკვარტალურ სპეციალურ თათბირებზე, ეგრეთ წოდებულ „ხარისხის დღეებზე“ ვახდენთ. მიუხედავად ამისა, ეს ჯერ-ჯერობით შედეგი უმნიშვნელოა. ჩვენი ბინათმშენებლობის ხარისხის მაჩვენებელი — „დეფექტების კოეფიციენტი“ ჯერ კიდევ დაბალია საერთო საკავშირო მაჩვენებელზე. (მეათე სამშენებლო ტრესტში დეფექტების კოეფიციენტი 0,11 პროცენტს, მეთოთხმეტე ტრესტში — 0,2; № 1 სახლმშენებელ კომბინატში — 0,44; № 2 სახლმშენებელ კომბინატში — 0,28 პროცენტს შეადგენს).

წლეულს ყველა ზემოთ აღნიშნული ღონისძიების განხორციელებასთან ერთად უურადღებას გავამახვილებთ სამშენებლო ინდუსტრიის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე. ეს ერთ-ერთი მთავარი რეზერვია მშენებლობის დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადეთ წუნისმკეთებლებს. ვზრუნავთ მუშათა კვალიფიკაციის დონის ამაღლებისათვის, თითოეული მუშის, სპეციალისტის პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის, სამშენებლო მოედნებზე შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამშენებლო საქმის არქიტექტურასთან ინტეგრაციისათვის, შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის. „მთავართბილისმშენის“ მთლიან მოცულობაში ზოგიერთ ბრიგადული იჯარით მომუშავეთა ხვედრითი წილი 85,6 პროცენტს შეადგენს, ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტი კი 85 პროცენტს აღწევს.

— უმეტესად მობინადრეები მშენებლებს უსაყვედურებენ, მაგრამ საინტერესოა თვით მშენებლები ხართ თუ არა კმაყოფილი მოწოდებული საშენი მასალების ხარისხით, ირღვევა თუ არა მოწოდების რიტმულობა?

— ყველა აღნიშნული ღონისძიების შესრულება გაერთიანების შესაძლებლობებს ექვემდებარება და შეგასრულებთ კიდეც, მაგრამ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებაში ეფექტიანი შედეგის მისაღწევად საჭიროა ზოგიერთი პრობლემის მოგვარება, რომელთა გადაწყვეტა გაერთიანების შესაძლებლობებს სცილდება.

როგორც მოგახსენეთ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მოწოდებული კარ-ფანჯრებისა და პარკეტის ხარისხი. პარკეტი, გარდა იმისა, რომ არავითარ სტანდარტებს არ ემორჩილება, ჭიანდაა. ასეთი პარკეტით რეგიონი იატაკის დაგება, ცხადია, შეუძლებელია. ამასთან მისი მოწოდება ფერხდება. ჩვეულებრივ, ყოველი თვის პირველ ორ დეკადაში პარკეტი არ ჩანს, მხოლოდ თვის მესამე დეკადაში სრულდება გრაფიკი.

ანალოგიური მდგომარეობაა ინერტული მასალების მოწოდებაშიც. ხარისხი დაბალია, მოწოდების რიტმი ირღვევა. ზოგჯერ მიღებული ტვირთის ფაქტობრივი რაოდენობა არ შეესაბამება სსსკ-ონლო-სატრანსპორტო ზედდებულის მონაცემებს. შარშან თბილისის საქალაქო კომიტეტის სახალხო კონტროლის მიერ გამოვლინდა ასეთი 23 შემთხვევა. თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება შპალერის ხარისხიც.

რუბეროიდი, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ბინათმშენებლობაში, სახურავის მოსაწყობად არ არის გათვალისწინებული. ცხადია, ასეთი რუბეროიდით გადახურულ ბინებში წვიმის წყალი ჟონავს, რაც მოქალაქეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. დაბალი ხარისხისაა რკინა-კავეულის ნაწარმი, რომელსაც ჩვენ ბინათმშენებლობაში ვიყენებთ. მათი ხარისხის გაუმჯობესების საკითხი ვერა და ვერ მოგვარდა, აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია მომწოდებელ ორგანიზაციებზე, უწყებებსა და სამინისტროებზე.

დღეს ჩვენი დედაქალაქის მასობრივი ბინათმშენებლობა მძლავრ საწარმოო კონვეიერს წარმოადგენს. მასალების მოწოდების რიტმის დარღვევა ამ კონვეიერის მოცდენას იწვევს, რისი ლოგიკური შედეგიც იერიშობანაა, რის გამოც უარესდება მშენებლობის ხარისხი. დასკვნა. კი ერთია — ბინათმშენებლობის დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ჩვენთან ერთად არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ მომწოდებლებს. ბრძოლა საბოლოო საუკეთესო შედეგისათვის მოითხოვს დისციპლინის განმტკიცებას წარმოების ყველა რგოლში. ამიტომ დღეს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ახალ ინიციატივას — „სანმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში“.

ამ სულისკვეთებით დარაზმული ჩვენი კოლექტივის თითოეული წევრი მტკიცედ იბრძოლებს დისციპლინის განმტკიცებისათვის, რაც უეჭველად დაგვეხმარება ახალი წარმატებების მოპოვებაში.

საუბარი ჩაიწერა

ლ. ქინქლაძემ.

გორის რაიონი: ფიზკულტურას — ყოველდღიური ზრუნვა და ყურადღება

გორის რაიონის მშრომელები, რომლებიც წლითიწლობით აღწევენ მაღალ მაჩვენებლებს მუშაობაში, არსებითად მოკლებული არიან შესაძლებლობას აღიდგინონ ფიზიკური ძალები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა მეოხებით, მეტ წილ ადგილობრივ მეურნეობებში, საწარმოებში, სასწავლებლებში ფიზიკურ-ვარჯიშს, სპორტს მეორხარისხოვან საქმედ მიიჩნევენ, მუშაობას ამ მიმართულებით აქ მეტად არადამაკმაყოფილებლად ეჩვევიან. ასეთი დასკვნა გამოიტანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან შექმნილი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამუშაო ჯგუფის წევრებმა. ჯგუფის მორიგი სხდომის დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი: როგორ სრულდება გორის რაიონში „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

რის საფუძველზე გამოიტანეს დასკვნა სამუშაო ჯგუფის წევრებმა? მაგალითი საკმარისზე მეტია. მაგალითად, ქიმწისის საბჭოთა მეურნეობაში ბოლო ორი წლის მანძილზე არ მოუწყვიათ არც ერთი სპორტული ღონისძიება. ან როგორ უნდა მოეწყოთ, როდესაც ერთადერთი ფეხბურთის მოედანზე თივაა დახვინული, დაწყობილია საწნი მასალები, ცარიელი ყუთები...

სპორტული ბაზების არადანიშნულებისამებრ გამოყენება საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა გორის რაიონში. მაგალითად, სათემის რვაწლიანი სკოლის ერთ-ერთ გასახდელში ბუფეტი აქვთ, მეორეში — ბიბლიოთეკა. ატენის საშუალო სკოლაში გასახდელებს იყენებენ შრომის გაკვეთილების ჩასატარებლად, ხოლო ქიწნისის საშუალო სკოლაში — ქიმიის გაკვეთილებისათვის. განა გასაკვირია, რომ მეტ წილ სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები დაბალ ორგანიზაციულ და მეთოდიკურ დონეზე ტარდება, რომ აღარაფერი ვთქვათ კლასგარეშე მუშაობაზე, რომელიც საერთოდ უგულებელყოფილია?

მართალია, გვაქვს დადებითი მაგალითებიც. ხელოუბნის, ზარეთისა და სხვა სოფლების საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა მაღალ დონეზეა, მაგრამ ცუდი სწორედ ის გახლავთ, რომ საუკეთესოთა გამოცდილება ლოკალური მასშტაბებით შემოიფარგლება, მას არ ავრცელებენ. სახალხო განთლების რაიონული ორგანოების მუშაკებმა, ალბათ, არ იციან, ან დაავიწყდათ, რომ სწორედ ბავშვობაში ეყრება მტკიცე საფუძველი ჯანმრთელობას, მთელი სიცოცხლის მანძილზე ფიზკულტურასთან მეგობრობას.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაჭანდაზეზე ჩვეულებრივ იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ როგორ ითვისებენ საწარმოო კოლექტივებში, სასწავლებლებში მშთ კომპლექსის ნორმატივებს. გორის რაიონში ჯანმრთელობის კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებას ფორმალური ხასიათი აქვს. აქ დიდი დაგვიანებით შეიქმნა მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების რაიონული კომისია, მაგრამ პრაქტიკულად იგი დღემდე არ შესდგომია მუშაობას: არჩეული არ არის თავმჯდომარე, ფუნქციები არ გაუნაწილებიათ კომისიის წევრებს შორის.

რაიონში ლამის ტრადიციად იქცა, შეცვალონ ხოლმე ადგილობრივი სპორტკომიტეტის ხელმძღვანელი, რომელიც ვერ გაუძღვა მუშაობას, მაგრამ ახალი „სპეციალისტის“ მოსვლით საქმის ვითარება არ უმჯობესდება. რატომ? იმიტომ, რომ მოსახლეობის ყველა ფენისათვის ფიზიკური ვარჯიშის, სპორტის, ტურიზმის ყოველდღიური მოთხოვნილებად გადაქცევის ამოცანა მრავალმხრივი და მასშტაბურია, და მოძველებული მეთოდებით იგი ვერ გადაწყდება. მას ვერ გადაეწყვეტა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთობლივი მუშაობის, მიზანსწრაფული პარტიული ხელმძღვანელობის გარეშე. ამ საქმეში უნდა ვეურდნობოდეთ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ერთიან სისტემას, მეცნიერულ პროგრამას.

როგორღაა საქმე გორის რაიონში? მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. სპორტკომიტეტი, „სპორტსაზოგადოება „ალმეურნეობა“ რაიონული საბჭო ფორმალურად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ყოველ შემთხვევაში, მათ თავიანთ სხდომებზე არც ერთხელ არ გაუანალიზებიათ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში მიზეზები. სპორტული ხელმძღვანელები დაუმტკიცებლად იჯერებენ ქაღალდზე შედგენილ პარადულ ანგარიშებს, თავს არ იწუხებენ იმაზე ფიქრით, შეესაბამება თუ არა ეს პატაკები სინამდვილეს.

სტატისტიკური ანგარიშებით, „კოლმეურნემ“ შარშან მოამზადა 21 სპორტსმენი — პირველთანრიგოსანი და ერთი სპორტის ოსტატობის კანდიდატი. მაგრამ არ არის არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ამ სტატისტიკას დაადასტურებს. ან სადან იქნება, თუ შეჯიბრების ოქმებშიც კი არ არის აღნიშნული მონაწილეთა რიცხვი, რომლებმაც შეასრულეს სპორტული თანრიგი. აქედან მოდის უსაფუძვლო ციფრები, ხელოვნურად გადიდებული, რეალობას მოკლებული სტატისტიკა.

სადამდე მისულა საქმე, თუ რაიონში წლითიწლობით კარგავს პოპულარობას ქართული ჭიდაობა. არადა, სწორედ ამ ჭიდაობით დაიწყეს ჩვენმა სახელგანთქმულმა ფალავნებმა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა შ. ჩოჩიშვილმა, მსოფლიო ჩემპიონმა თ. ხუბულურმა და სხვებმა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საბჭოთა სპორტს.

ახლა მეტად სავალალო მდგომარეობა გვაქვს: საქართველოს ნაკრებ გუნდში, რომელიც ემზადება სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის, გორის რაიონს მხოლოდ სამი პრეტენდენტი ჰყავს.

რა თქმა უნდა, უფრო იოლი იქნებოდა, თუ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ჩაშლისათვის მთელ პასუხისმგებლობას რაიონულ ხელმძღვანელობას დაეკისრებდით. თქმა არ უნდა, იგი ნელა აუმჯობესებს თავის საქმიანობას ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, ცუდად იყენებს არსებულ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით სპორტულ ბაზასა და კადრებს. შემთხვევით როდი შენიშნეს სამუშაო ჯგუფის წევრებმა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი, რაისაბჭოს აღმასკომი ცუდად ხელმძღვანელობენ მუშაობის ამ უბანს. მაგრამ რატომ უკავია გარეშის პოზიცია რესპუბლიკის სპორტკომიტეტს, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალურ საბჭოს? ხელმძღვანელობის ხელოვნება ის კი არ არის, რომ „შეთხზა“ ძირეული ორგანიზაციებისათვის რაც შეიძლება მეტი ინსტრუქცია ყოველი საბაბის გამო. მისი მიღწევა შეიძლება კარგად ორგანიზებული „კონტროლით“, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ხელი შეუწყოს მუშაკთა ინიციატივის, ფხიზლობის, შემსრულებლობის, პასუხისმგებლობის განვითარებას.

აი, რატომ არის, რომ ფიზკულტურული მოძრაობის ყველა რგოლში მთავარი ყურადღება უნდა მიეპყროს იმას, რომ სისტემატურად მოწმდებოდეს, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სექტემბრის დადგენილებათა რეალიზაციის გამო მიღებული გადაწყვეტილებანი. ნაადაგ უნდა ვუწევდეთ კონტროლს, თუ რა გაკეთა კონკრეტულად ყოველმა სპორტულმა ხელმძღვანელმა, სპორტულმა ორგანიზატორმა, ინსტრუქტორმა, სპორტული ბაზის დირექტორმა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ ყოველ მეურნეობაში, ყოველ საწარმოში, ყოველ სასწავლებელში ფიზკულტურულ მეცადინეობას ჰქონდეს არა განყენებული, არამედ მიზანსწრაფული, კონკრეტული ხასიათი. საქმე ის არის, რომ ფიზკულტურა და სპორტი სასიკეთო გავლენას ახდენდეს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებაზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, კადრების დენადობის შემცირებაზე, სამოლო ანგარიშით ხელს უწყობდეს მოსახლეობის მაღალ ფიზიკურ მომზადებას.

სამუშაო ჯგუფმა რეკომენდაცია მისცა რაიონის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სპორტულ ორგანიზაციებს უახლოეს დროში ძირეულად გარდაქმნან მუშაობა მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის გაუმჯობესებისათვის.

(საქინფორმი).

წყალსადენი და თვითმოქმედება?

„გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი კორესპონდენტი...“

ორგელი ერთ-ერთი დიდი და ლამაზი მთის სოფელია ცაგერის რაიონში. აქ 500 კომლზე მეტი ცხოვრობს. ორგელელები ძველთაგანვე მისდევენ მევენახეობასა და მეცხოველეობას. აქაური ხვრების ყურძნიდან უნიკალური ოჯახლეშის მარკის ღვინო მზადდება.

ამ სოფელში ამჯერად ხელმოუწერელმა საჩივარმა მიმიყვანა. მისი ავტორები „კომუნისტის“ რედაქციას სწერენ: „გთხოვთ ჩვენი წერილი რაიონში არ დაბრუნოთ, გამოგზავნეთ თქვენი კორესპონდენტი, დაე დაწეროს ის, რასაც დაინახავს, რაშიც თვითონ დარწმუნდება“.

გულდასმით ვარკვევთ საჩივარში მითითებულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს. ესაუბრობთ კოლმეურნეობის წევრებთან, კომუნისტებთან, სოფლის აქტივისტებთან. აი, როგორი სურათი გადაეშალა ჩვენ თვალწინ.

ოთხი წლის წინათ სოფელში დაიწყო წყალსადენის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 266 ათას მანეთს შეადგენს. წყალსადენის ქსელის სიგრძე 11 კილომეტრია. პროექტით მთის ფერდობზე უნდა გაკეთდეს რკინაბეტონის ორი აუზი, რომელიც 400 კუბურ მეტრ წყალს დაიტევს. თავდაპირველად წყალსადენის მშენებლებმა საავტომობილო გზის გასწვრივ არხი გათხარეს და რკინის მილები ჩაუწყვეს. მაგრამ უგულოდ, უხარისხოდ ნაკეთები მალე გაფუჭდა. ავტომანქანებმა ტრასა დაზიანეს და წყალსადენის ახლადგაყვანილი

დასასრულის დასაწყისი

ფეხით სტალინგრადიდან ბერლინამდე

ლაბლა დახრილი სვასტიკიანი დროშები ძალით იყო შემოსილი, ცრემლად იღვრებოდა ფაშიზმი.

იდგა 1943 წლის 27 იანვარი, სტალინგრადთან დამარცხების გამო სამდღიანი გლოვა გამოაცხადა ფიურერმა.

რასტენბურგის მახლობლად ბუნკერში თითებს იმტვრევდა რაიხსკანცლერი. ყველს მაგვრად მე ვიფიქრებო, რომ დაპირდა გერმანიას, აზროვნების კლასიკურ ქვეყანას, ჰეგელის სამშობლოს.

სინდისისაგან განთავისუფლებოო, რომ დამოძღვრა ბეთჰოვენის გერმანია...

თავჩაქნდრული იდგა მესამე რაიხი.

ისმოდა სამგლოვიარო მუსიკა. ვაგნერი წმინდა, როგორც ზეცა და ბნელი, როგორც ქვესკნელი!

ბევრისათვის იმედის სხივი იყო ეს ჯადოქარი მუსიკა, წმინდა, როგორც ზეცა...

ბევრისთვის სამარის კარს მისულთან გამოთხოვების ჰანგი იყო საბოლოო, მკაცრი, როგორც განაჩენი.

„რაც ხდება, სიტყვით ვერ აღწერ“, — ატყობინებს ლუიზა ტომასი ქმარს ვიტლიხიდან.

გერმანელი მწერალი **ჰაინც რეინი:** „გადამწყვეტი დარტყმა იყო, ფაქტობრივად ჩვენ მაშინ დავმარცხდით“.

გერმანელი ისტორიკოსი **მიხაელ ფრაინდი:**

„სტალინგრადის კატასტროფამ გერმანული ხალხის საოცარი გამოფხიზლება და მორალური ძვრა გამოიწვიაო...“

1942 წელი, 19 ნოემბერი. დაიწყო საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა, მეხუთე დღეს ალყაში აღმოჩნდა 22 დივიზია და 160 ცალკე ნაწილი.

ეფრეიტორმა ზურმა, უბის წიგნაკში ჩაიწერა, „სამი რამ ხდის ჩვენს ცხოვრებას აუტანელს: რუსეთი, სიცივე და შიმშილიო“.

სტალინგრადთან მოკლული ჯარისკაცის უბის წიგნაკში ჩანაწერი ნახეს:

მე მინდა სიცოცხლე!

ვინ აგებს ამისათვის პასუხს? სად არის გონიერი გერმანია, რა ხდება? მალე შეგროვდება „ათასი ფუთი“ ბრალდება, შტურმით აიღებენ რაიხსტაგს, მაგრამ ჯერ ეს ყველაფერი წინაა, ეს მხოლოდ დასაწყისია...

1943 წელი, 8 იანვარი. პაულუსს შესთავაზეს კაპიტულაცია, უარი თქვა. 9 იანვარს დაიწყო შეტევა.

ტყვეს, გენერალ-მაიორ მორიც დრგბერს ჰკითხეს, როგორია თქვენი დანაკარგი? რაღაც ღიმილს მსგავსი გამოკრთა სახეზე და თქვა:

— „ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნდაო“.

ყველაზე მძიმე დანაკარგი იყო იმედი.

...ხელთა მაქვს, გერმანის ფრონტისა და ზურგის მიმოწერა, ზღვა მასალა.

წარმოვიდგინე ოაქოაქლოყუება ერპარტ ჰოლმანი თავისიანებს სწერს, „იმედი მაქვს კვირას სტალინგრადი ჩვენი იქნებაო...“

გავიდა ერთი კვირა და მესამე რაიხის სახელოვანი არმია, ევროპა რომ „დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალეს“ სიმღერითა და ჩექმის ბრაგუნით გაიარა, ისე დასაცოდავდა და გაუბედურდა, რომ „მაროდიორთა“ ხროვას დაემსგავსა.

ესეც შენი „დოიჩლანდ იუბერ ალეს...“ (რაც ჩვენს ენაზე ნიშნავს: „გერმანიავ, ყველაზე მაღლა მდგომო“). მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, ამაზე ითქმის სწორედ.

საბჭოთა ჯარისკაცს მიხეილ პანიკახას ტყვია-წამალი რომ გაუთავდა, ცეცხლგამჩენი ბოთლი გაუქანა მტრის ტანკს, ბოთლს ტყვია მოხვდა და ჯარისკაცს სითხე ზედ გადაესხა. აღმოდებული მეომარი პანიკახა მეორე ბოთლით ტანკისაკენ გაექანა და ააფეთქა...

არც ერთი ნაბიჯი უკან! ეს არ იყო მარტო ბრძანება, ეს იყო არმიის სულიერი მოთხოვნილება, არმია მზად იყო შეტევისათვის...

ხშირად მიფიქრია, შეიძლება გმირი იყო ორგზის? მე მგონი, ეს შეუძლებელია, გმირობა ხასიათია, იმდენჯერ ჩაიდენს პიროვნება გმირობას, რამდენჯერაც ცხოვრება ამის პირობას შექმნის. ამას არ ვიტყოდი, მიხეილ დიასამიძის მაგალითი რომ არ მქონდეს. სტალინგრადელმა მამაცმა მებრძოლმა, აგერ ომის დამთავრების რვა წლის მერე, 1953 წელს ისეთი გმირობა ჩაიდინა, ქვეყანა აალაპარაკა, გაზეთმა „პრავდამ“ ვეებერთელა სტატია მიუძღვნა დიასამიძის სიმამაცეს და მას „ომის ექო“ უწოდა. მენალმეთა ჯგუფმა, რომელსაც მიხეილ დიასამიძე ხელმძღვანელობდა, გააუვნებლეს ომის წლებში გერმანელი ფაშისტების მიერ დანაღმული ველი, რისთვისაც მშვიდობიანობის დროს მიიღო კიდევ ერთი ჯილდო — წითელი ვარსკვლავის ორდენი.

დიასამიძე სტალინგრადთან პოლკს მეთაურობდა, განსაკუთრებით თავდაცვითს ბრძოლებში ისახელა თავი.

ჰიტლერმა ალყაშემორტყმულთა გადასარჩენად არმიათა ჯგუფი „დონი“ შექმნა და ფელდმარშალი მანშტაინი უსარდლა. ამ ჯარების კონტრშეტევა სტალინგრად-ტიხორეცკაიას რკინიგზის გასწვრივ ვითარდებოდა. გაფთრებული, სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა, საზრიანმა მეთაურმა კარგად გამოიყენა ბრძოლის ველი, ოსტატურად განალაგა საცეცხლე სისტემა, მოაწყო ცეცხლსასროლ და ტექნიკურ საშუალებათა ზუსტი ურთიერთმოქმედება.

მიხეილ დიასამიძის პოლკთან ერთად პოზიციები დაიკავეს არტილერიის პირველმა დივიზიონმა და 55-ე ცალკე სატანკო პოლკმა, რომელსაც მეთაურობდა აზერბაიჯანელი ხალხის სახელოვანი შვილი პოდპოლკოვნიკი აზიზ ასლანოვი.

გერმანელთა მე-6 სატანკო დივიზიამ დაიწყო შეტევა მ. დისამიძის პოლკის პოზიციებზე. ხუთი დღე-ღამის განმავლობაში გერმანულმა ავიაციამ 1.500-ზე მეტი გაფრენა მოაწყო მ. დიასამიძის პოლკის წინააღმდეგ.

პოლკი სისხლით დაიცალა, მაგრამ ნაბიჯი არ გადაუდგამს უკან.

მოწინააღმდეგემ ამ ბრძოლაში დაკარგა 94 ტანკი, 12 ჯავშნიანი მანქანა და ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი...

მიხეილ დიასამიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ეს ამბავი შოთა სულხანიშვილმა და დავით ქათამაძემ მიამბეს დაწვრილებით. ორივე ომგადახდილია. ორივე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, ორივე — ჯარში მოხალისედ წასული, ნაომარი, სისხლდაღვრილი, ჭირვარამგამოვლილი. წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა მათ კისერზე, თორემ სხვა ყველაფერი გადახდენიათ.

ამ ქათამაძეს ნახევარი საუკუნეა ვიცნობ, რაც თავი მახსოვს, ჩემთვის ეს ოჯახი იყო, არის და იქნება ზნეობისა და ღირსების საწყაო. ხუთი და-ძმა — ალექსანდრე, ანდრო, თინა, ქეთო და დავითი მოხალისეებად წავიდნენ ომში. ანდრო დაიღუპა, დანარჩენები დაბრუნდნენ. დავითი ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭირო, ხან განაღმვა. ამიტომაც აქვს სულხანიშვილს ზურგი საცერივით დაცხრილული. იცოცხლეთ, სტალინგრადთან სულხანიშვილის დანაღმულ ველებზე გერმანელების ტანკებმა „ისეირნეს“ საბედისწეროდ.

დავითმა საინჟინრო ჯარების მარშლის ვ. ხარჩენკოს წიგნი მაჩვენა, რომელშიც კაპიტანი შოთა სულხანიშვილია მოხსენიებული. ერთ-ერთ ეპიზოდში ხარჩენკო აღწერს, როგორ აფეთქეს თვითმავალი ქვემეხი, „ფერდინანდი“. რა თქმა უნდა, ტყუილად არ ჩარჩებოდა მეხსიერებაში მარშალს ახალგაზრდა მეხალმე კაპიტანი, და სულხანიშვილს ვკითხე:

— პირადად, თქვენ, დანაღმულ მიწაზე რომ გადაიარა მტრის ტანკმა, თუ გინახავთ-მეთქი... მან უცნაურად გაიღიმა. არ ვიცი, რა იფიქრა, და კიდევ უფრო უცნაურად მიპასუხა:

— ცუდია სიკვდილი!

— გავჩუმდი, მერე ისევ ვკითხე:

— ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

— გენერალი ბატოვი. ქუკოვი და როკოსოვსკი უნდა მოსულიყვნენ, სამეთვალყურეო პუნქტის აშენება დაგვავალა მე და ჩემს ოცეულს. ჯარისკაცებს ისე გვიყურებდა თითქოს შვილები ვყავდით გარეშემო...

კიდევ ერთხელ გაიმეორა — გენერალი ბატოვი. — მიცნობს მე ის... ნამდვილად მიცნობს... რა გითხრათ, იცით? რაიმეს დაწერა თუ გინდათ, იქ ისეთი ბიჭები დაიხოცნენ, ნამდვილი ლომები!...

როგორც ელევატორმა ხორბლის მარცვალი, ისე შთანთქა ადამიანი ხალხის მასამ, და მაინც სახე არ დაუკარგავს ადამიანს. ადამიანი ამაღლდა, განიწმინდა... ჩვენ სამშობლოს ვიცავდით, გერმანელები სულ გაავდნენ და გაბორობდნენ, კაცის ჭამას ალარაფერი აკლდათ. ერთმა ჩვენმა სახელოვანმა გენერალმა გვიამბო:

— სტალინგრადთან ტყვე გერმანელები თავიანთიავე თანამემამულეების გვამებს ჯიბეებს უჩხრეკდნენ, ძარცვავდნენ. ერთი გერმანული მკვდარს მიუახლოვდა, გადმოაბრუნა და ბეჭდიანი თითის მოჭრა დაუპირიაო.

თვალისაწინ რომ ასე ექცეოდა, ჩვენებს რა სიკეთეს დაუყრიდა. ეს შეიარაღებული ხროვა (ხროვა ზედგამოჭრილი სახელია, სირცხვილია, არმია უწოდო მათ!).

სტალინგრადის ერთ გარეუბანში, — გერმანელებმა მოხუც ცოლ-ქმარს სუფრა გაგვიშალეთო, უბრძანეს, მოხუცებს არაფერი გაუჩნდათ, გერმანელებმა ისინი კონდახის ცემით დახოცეს, მერე ბენზინი გადაასხეს და დაწვეს. ოფიცერს ცეცხლი რომ დაუნახავს, უკითხავს, რა მოხდაო, ჯარისკაცებს უპასუხიათ, ესენი პარტიზანებს მალავდნენო. ოფიცერს უთქვამს, მიზეზი რომ ვერ უპოვოთ, მაინც გაწყვიტეთ ყველა ვისაც წაესწრებითო.

ახლა მოუსმინეთ შოთა სულხანიშვილს და თქვით, შეიძლებოდა ასეთი ხალხის დამარცხება?

— თქვენ მკითხეთ, ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათო. არ გიპასუხეთ მაშინ, მე რა გამიკეთებია. იქ ისეთი ბიჭები დაიხოცნენ, აი, მათ კაცობაზე უნდა წეროთ, მაგრამ ერთი რამ მაინც მინდა გიამბოთ.

ბოლოს, ჰიტლერს რომ ძალიან გაუუჭირდა, სულ ბალღები და მოხუცები გამოიყვანა. ბერლინთან ბუზენსდალ ვანთავისუფლებდით ერთ სანგარში შევცვივდით, და... ჩემ წინ, ავტომატმომარჯვებული პატარა ბიჭია, სულ პატარა, ისე, ცამეტ-თოთხმეტი წლის ჟუ იქნება. ის არის, უნდა ვწვდე და ავტომატი დამიშინა. ამაცდინა, ამაცდინა ამ შუძუნაწყენმა ღლაპმა და ვწვდი კიდეც.

— მერე?!. წამოვიყვირე მე.

— ავტომატი წავართვი, კისერში წამოვკარი და... გავუშვი!

შოთამ ისე გაიღიმა, როგორც ჩვენ უღიმით პატარებს სათამაშო ავტომატის ჯერს რომ მოგვაყრის ტახ-ტახ-ტახის ძახილით.

ჩემ წინ იჯდა ეს დარბაისელი კაცი და ვიღაცას უღიმოდა ვიღაცას კი არა, მკვლელს უღიმოდა.

ვინ იცის, იქნებ სასარგებლო კაცი დადგა ის ბიჭი, თუ ასეა, ალალი იყოს ქართველი ოფიცრის შოთა სულხანიშვილის ნაბოძები სიცოცხლე!

ნეტა შემეძლოს ქვეყანას გავაგონო, რომ მაშინ ის ქართველი ოფიცერი თვითონ ოცდაერთი წლისაც არ იყო.

წითელი დროშის, პირველი ხარისხის, სამამულო ომის, წითელი ვარსკვლავის, ალექსანდრე ნეველის ორდენები, მედლები საბრძოლო დამსახურებისთვის, სტალინგრადის დაცვისათვის, ვარშავის და ბერლინის განთავისუფლებისათვის — ღირსეულად უბრძოლია კაპიტან სულხანიშვილს.

* * *

... დაეუყენეთ ვოლგოგრადის გრძელ პროსპექტს, სადაც ყოველი კუთხე, კუნჭული, ისტორიული მონაკვეთია, ყოველი სახლი ძეგლია, და ვფიქრობთ, ჩვენი გამარჯვების ყველაზე დიდი ფაქტორი ის იყო, რომ ჩვენ სამართლიან ომს ვეწეოდით. სამართლე ფარიც არის და მახვილიც, მომხდური მუხანათია, და თუ ვერ დაგჩაგრა, მხდალიც...

40 გრადუსია, ყინავს, აი, პავლოვის სახლი, სადაც ჩვენი თანამემამულეები მოსაშვილი, სტეფანაშვილი და აფხაზი სუკბა იბრძოდა.

სტალინგრადში იყო და მეჯვრისხეველი ლადო ხომასურიძე არ გაიხსენო არ იქნება. ეს ამბავი მწერალ ვლადიმერ თორდუას აქვს დიდებულად აღწერილი თავის ერთ-ერთ წიგნში „მთავარი გმირი“, თვითონ ომგადახდილი კაცია და ომის თემისადმი მგრძნობიარე, ინტენსივობაზე მგრძნობიარე.

„რამოდენიმე თვე მომზადება გავიარე და ორმოცდაორის ნოემბერში უკვე სტალინგრადის მისადგომებთან ამოვყავი თავი. სტალინგრადი, სტალინგრადი! — ასი წლის, რომ გავხდე, იქ გადახდილი ბრძოლები არ დამავიწყდება. ერთი მოზრდილი ქალაქის ოღენა უბანი სულ მთლად დალეწილი და გადაბუგული გადამეშალა თვალწინ.

— რამოდენა ნანგრევებია!.. რა ქალაქი იყო თუ ქმა ხარ, აქ?

— კითხე ჩემი დამტვრეული რუსულით ბრგე რუს მეტყვიამფრქვეველს, ვისი მეორე ნომერიც ვიყავი.

— „სტზ“ ბრიყვო, „სტზ“, არ იცოდი? (სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა!).

„სტზ“— მოდი და გააგებინე ახლა ამას, თუ რა ახლოგელია ჩემთვის ეს სახელი.

„მე ვიჯექი, მე, „სტზ“-ზე, აქედან გამოსული ტრაქტორით მეჯვრისხეველ მინდვრებს ვხნავდი გორის რაიონში, გორი არ გაგიგონია?!—მინდა ყვირილით გავაგონო ამხანაგს, მაგრამ განუწყვეტელი გუგუნი მიხშობს ხმას და ჩავიკალ გულში მოწოლილი ბოღმა, ამ ნანგრევებით გამოწვეული და დავცხეთ მტერს...“

ქალაქში უამრავი მემორიალური დაფა და ძეგლია.

მამაევის ყორღანი ბოროტზე გამარჯვების სიმბოლოა სამუდამო... აქაურები სიამაყით გეტყვიან: მარშალმა ჩუიკოვმა ანდერძად დაიბარა — მამაევის ყორღანზე დამმარხეთო.

აი, ქალაქის ცენტრალური უნივერმაღი. მის საწყობში ჰქონდა ბინა გერმანელთა ჯარების სარდალს გენერალ პაულუსს. 2 თებერვალს ალყაშემორტყმული არმიის სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება — ტყვედ ჩაბარდეს.

ერთი დღით ადრე პაულუსმა ფელდმარშლობა და უმაღლესი ორდენი „რკინის ჯვარი და მუხის ფოთლები“ მიიღო. გახარებისა არ ვიცი და, მუნდირის შეკერვა ვერ მოასწრო!

გავა რამდენიმე წელი, ჩვენები ჩავლენ ბერლინში, გადაბუგავენ ჰიტლერის ბუნაგს, „მოვედით სტალინგრადიდანო“ წაეწერენ ბიჭები რაიხსტაგს და სახლებში წამოვლენ. (სწორედ რაიხსტაგის კანცელარიაში იდგა შოთა სულხანიშვილის ოცეული).

ჯარისკაცმა ბრძოლა მოიღია, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ ბევრი იყო. „ათასი ფუთი ბრალდება“ დაგროვდა, ნიურნბერგში საბრალდებო სკამზე დასვეს ფაშიზმი. დაიწყო „ქმნა მართლისა, სამართლისა“...

და აი, საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ ბრალდებულს მოწმედ პაულუსი დაასახელა. მაშინდელი საზღვარგარეთული გაზეთები წერდნენ — ატომური ბომბის გასროლას „არ მოუხდენიაო ისეთი ეფექტი ბრალდებულზე, როგორიც პაულუსის გამოჩენამ მოახდინაო.

ბრალდებულის ერთ-ერთმა დამცველმა პაულუსს ჰკითხა:

— რამდენს გიხდიდნენ ბოლშევიკები, მათ ოფიცრებს ლექციებს რომ უკითხავდით!

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ დიდად პატივცემულმა ლორდმა, მოსამართლე ლორენსმა შეაჩერა ადვოკატი და თქვა:

— ვხწნი ამ შეკითხვას, არაფრად სჭირდებოდათ გამარჯვებულ საბჭოთა ოფიცრებს, დამარცხებული ფაშისტი გენერლის ლექციებიო!

ვდგავარ ამ სუსხიან დღეს უნივერმაღის უკანა, „შავი შესასვლელის“ ორსაფეხურიან კიბესთან და ვფიქრობ, აი ის კიბე, 2 თებერვალს ფელდმარშალმა პაულუსმა ფეხი რომ ჩამოდგა.

ამ ნაბიჯით დაიწყო „მესამე რაიხის“ მზის ჩასვლა.

ასე დაიწყო დასასრულის დასაწყისი...

რეზო დვალიშვილი,

ვოლგოგრადი — თბილისი.

პაბლო ნერუდა

სიმღერა სტალინგრადის სიყვარულისა

ვოლგაზე საბჭოთა არმიის გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ გამოჩენილი ჩილელი პოეტის, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის პაბლო ნერუდას ვრცელი ლექსის — „სიმღერა სტალინგრადის სიყვარულისა“ რამდენიმე ნაწყვეტს... იგი დაწერილია სტალინგრადის გმირული ბრძოლების დღეებში და ქართულ ენაზე ჯერ კიდევ ამ ორი ათეული წლის წინათ თარგმნეს მუხრან მაჭავარიანმა და გივი ძნელაძემ.

ქალაქო საოცარო!
ვარსკვლავო ცისკრისავ!
ხმა ესმის მეზღვაურს,
ხმა ხალხთა და ტალღათა,
მჭიდროდ დაგმანე ფოლადის ალაყაფი,
ჰაერში მოტკაცუნე შეჰკრიბე ნაპერწკლები;
მაგ დაფნის გვირგვინმა —
სისხლით შეფაკლულმა,
დაე, უფრო მეტად გაგაშუქოს შენ!
ისე გაგაშუქოს, ისე, რომ ათრთოლდეს
ღამე მაგ თვალების მძაფრი ელვარებით,
ისე, რომ გადიქცე შენ თვითონ პლანეტად,
პლანეტად ხიშტების ვარსკვლავთა შორის!
როცა იგონებს მადრიდს ესპანელი, —
ქალაქო ძმაო! მოგმართავს შენ.

● ●

შენს გახსენებაზე დილეგთა წყვდიადში
შავი თვალები ბურღავენ ქვაფენილს;
იწვევს ესპანეთში ბოღმას, აღშფოთებას, —
შენთვის დაცემულთა სისხლი!
შენი სული ედგა მაშინაც მადრიდს,
როს იგი იბრძოდა,
როს იგი ბადებდა
გმირებს და ვაჟკაცებს —
ვით ბადებ შენ!
დიახ! ესპანეთის მიწამაც განიცადა
ცეცხლი და სისხლისღვრა ისეთი, იმგვარი,
როგორსაც, სტალინგრადო, შენ იტან დღეს.

● ●

დედაო ქალაქო,
ცეცხლიდან ნაშობო,
იბრძოლე და გწამდეს —
დადგება დღე და ჩვენ, ბედშავი ინდიელნი,
სალოცავ ლოდებთან პირქვე დავემხობით
ჩატეტკილ ბაგენით!

ჯერ კიდევ არა ჩანს ფრონტი დასავლეთის,
მაგრამ სტალინგრადო, შენ არ დაეცემი!
შენ არ დაეცემი,
თუ გინდ დღისით, ღამით
გლეწონ და განგრიონ მახვილით და ცეცხლით!
დიახ! უძლურია სიკვდილი შენს წინაშე:
უკვდავნი არიან მძლე ძენი შენნი!
ომით გატანჯულნი და ხმლეებით ნაჩეხნი, —
ისინი სიკვდილითაც იცავენ შენს სახელს,
უკვდავი დიდების ქალაქო!
ცოცხალთა ხელები დაცემულთ წმიდა ფერფლს
ახვეტენ, რომ ისევ მოთესონ ხმლელთი,
რომ იმა ფერფლიდან,
გმირო სტალინგრადო,
ჯეჯილი აღმოცენდეს უკეთეს ყოფის!..







□ **სტალინგრადი.** ზოთა სულხანიშვილის გადალებული მისი ოცეული, ამ ოცეულიდან ექვსი კაცი დარჩა ცოცხალი.

□ **გერმანელთა** ტანკების სასაფლაოდ იქცა სტალინგრადის დანაღმული მისადგომები.

□ **სერჟანტ** პავლოვის სახლი, რომელშიც ჩვენი თანამემამულეები მოსიაშვილი, სტეფანაშვილი და აფხაზი სუკბა იბრძოდა.

□ **დაიღუპა,** განადგურდა ათასობით ოკუბი.

□ **გრძოლა** იყო სამკვდრო-სასიცოცხლო.

□ **გოგოეთო** ზერილი!.. ქალი, სანგარშიაც ქალია.

□ **შეტევა.**

□ **გამარჯვება!..** სტალინგრადი ჩვენია!



აკაკი გეფაძე

გმირთა გმირი

სტალინგრადი...
მზემდე ქროდა
ავი ცეცხლის ნაცარი.
სტალინგრადი...
სისხლის ვოლგა,
ცის და მინის ზანზარი...
დღეს ჩემს გულში ისევ
ბორგავს,
კვლავ მწვავს მისი ხანძარი.
ომის სისხლი მიწას
ბუგავს,
მაგრამ სულში არ შრება.
მტერმა იქ ვერ დაიბუდა,
ვერ გვიხილა ლაჩრებად...
სტალინგრადი ჩემთვის
მუდამ
სტალინგრადად დარჩება.

ფართოდ, პროფესიული სიღრმით

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის V ტომის გამო

ეროვნულ ენციკლოპედიათა რედაქტორებისა და ავტორების წინაშე ყოველთვის დგება რთული საკითხები, რომლებიც უკავშირდება, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერული ცოდნის ზოგადსაკაცობრიო სისტემაში ამ გამოცემათა სპეციფიკური როლისა და ადგილის პოვნასა და განსაზღვრას და მსოფლიო კულტურის მიღწეულ დონესთან მათი მიმართების გარკვევას. ყველაფერი ეს არა მარტო ზომიერების ფაქიზ გრძნობას ითხოვს, არამედ ზშირად ერთი შეხედვით უჩინარი იმ ზღვარის მკაცრად დაცვასაც, სადაც ერთიანდება ეროვნული, რეგიონალური და ინტერნაციონალური წარსული და თანამედროვეობა, აღწერა და ანალიზი, პარტიულობა და ობიექტურობა, ისტორიული და ლოგიკური, მთავარი და არამთავარი პოლიტიკა, მეცნიერება, იდეოლოგია და კულტურა.

სიტყვასთან ანბანის მიხედვით ცოდნის შესაბამისი ფორმების გადმოცემა მეტად შრომატევადი, მაგრამ შედარებით ადვილად გადაწყვეტი ამოცანაა. ძნელი და ყველაზე მნიშვნელოვანია შერჩევის სწორი პრინციპის დადგენა, თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის გამოყენება, იმ ცოდნისა და ინფორმაციის აუცილებლობის დასაბუთება, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ.

ენციკლოპედიურობა არ ნიშნავს ყველაფრის ცოდნას და არც ერთ უნივერსალურ (არადარგობრივ) ენციკლოპედიას არ შეიძლება ჰქონდეს ეს ამოცანა. ეს ამოცანა ეხება ეროვნული ენციკლოპედიის ადგილს ამ ეროვნული ენციკლოპედიის ფარგლებში, ეროვნული ენციკლოპედიის ადგილს ზოგადსაკაცობრიო ენციკლოპედიებთან, ეროვნული ენციკლოპედიის ადგილს ეროვნული ენციკლოპედიის ფარგლებში

1 თებერვალი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

სოციალისტურ ქვეყნებში

● ბულგარეთი

კარგი შედეგები

სოფია. **შარშან ბულგარეთის სახალხო მეურნეობაში მიღწეული კარგი შედეგები საამედო საფუძველს უქმნის მიმდინარე ხუთწლედის გეგმების რეალიზაციას.** ეს ნათქვამია ცნობაში ბულგარეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1982 წლის შედეგების შესახებ.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 1981 წელთან შედარებით რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი 4 პროცენტით გაიზარდა. საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საგეგმო დავალებანი. დამატებით გამოშვებულია 450 მილიონი ლევის საქონელი.

მწყობრში ჩადგა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სახალხო სამეურნეო ობიექტები. კერძოდ, მეოთხე რეაქტორი კოზლოდუის ატომურ ელექტროსადგურში, ახალი სამძლავრეები ბურგასის ნავთობქიმიურ კომბინატსა და პირნიკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატში.

● ჩეხოსლოვაკია

ყრილობის პროგრამის შესაბამისად

პრაღა. **ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში აღნიშნულია, რომ შარშან ჩეხოსლოვაკიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XXVI ყრილობის პროგრამის შესაბამისად.** სახელმწიფო გეგმა, აღნიშნულია ცნობაში, მთლიანად შესრულებულია. ამას ხელი შეუწყო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირთან რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებამ.

წარმოების განვითარების ყველაზე სწრაფი ტემპი მიღწეულია დარგებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, — მანქანათმშენებლობაში და ელექტრონიკაში. სოფლის მშრომელებმა აიღეს 10 მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული.

● კუბა

დავზოგოთ ყველგან და ყველაფერში!

ჰავანა. **„დავზოგოთ ყველგან და ყველაფერში!“ — ასეთია კუბელ მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლოზუნგი.** ისინი მეორე სიცოცხლეს ანიჭებენ ათასობით ტონა ჯართს, მინის ნამსხვრევებს, ნახმარ ავტოსაბურავებს, საფიქრო, ქვებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალი. სახეობის ნარჩენებს. მთელ ქვეყანას მოედო მასობრივი მოძრაობა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, რომლის მონაწილეებმა მარტო შარშან შეაგროვეს 30 მილიონი პესოს მეორეული ნედლეული, დაზოგეს რამდენიმე მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ასიათასობით ტონა სათბობი და საწვავი.

გადავაქციოთ ინდოეთის ოკეანე მშვიდობის ზონად!

ნიუ-იორკი. **აქ მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდოეთის ოკეანის საკითხთა სპეციალური კომიტეტის სესიამ, რომელიც წელს პირველად გაიმართა.** მასში მონაწილეობენ 46 სახელმწიფოს წარმომადგენლები. კომიტეტის ამოცანაა მოამზადოს კონფერენცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო შეთანხმება ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევის შესახებ.

წინა სესიებზე გაწეულია დიდი მუშაობა. დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო ინიციატივას მტკიცედ დაუჭირეს მხარი სოციალისტურმა და მიუმხრობელმა ქვეყნებმა. მათ წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ობსტრუქციონისტული პოზიციის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ კონფერენციის მოწვევის პირველი ვადა (იგი 1981 წელს უნდა მოწვეულიყო) ჩაიფუშა. ახლა ჩაფუშვის საფრთხე ემუქრება მეორე ვადასაც. ეს არის 1983 წლის მაისი.

ამერიკის შეერთებული შტატები დაადგა ინდოეთის ოკეანის მილიტარიზაციის კურსს. ცნობილია პენტაგონის გეგმა, რომელიც რეგიონის „სტრატეგიულ რეკოლონიზაციას“ ითვალისწინებს. მის განსახორციელებლად დაახლოებით 30 მილიარდი დოლარია გამოყოფილი. ამ თანხის ძირითადი ნაწილი მოხმარდება ეგვიპტის, სომალის, კენიის, ომანისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე ძველი სამხედრო ბაზების მოდერნიზაციასა და ახლების შექმნას.

ინდოეთის ოკეანე, — გარდა ამისა, არის ინტერვენციონისტული „სწრაფი რეაგირების ძალების“ მოქმედების ძირითადი ასპარეზი. მათი ძირითადი დანიშნულებაა შანტაჟი გაუწიონ რეგიონის სახელმწიფოებს, ამასთან ხელი შეუშალონ მათი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას.

ამიტომ ვაშინგტონმა მიზნად დაისახა არ დაუშვას საერთაშორისო კონფერენციის მოწყობა. ამავე მიზნით მან ცალმხრივი წესით ჩაშალა აგრეთვე მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ინდოეთის ოკეანეში სამხედრო საქმიანობის შეზღუდვისა და შემდგომი შემცირების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ბოლო სესიაზე საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა ინიციატივა უკვე ახლა, კონფერენციის მოწვევამდე, განახორციელოს რეგიონში დაძაბულობის შენელების კონკრეტული ღონისძიებანი. მან ყველა სახელმწიფოს მოუწოდა არ გაგზავნონ იქ დიდი სამხედრო-საზღვაო შენაერთები, არ მოაწყონ სამხედრო წვრთნა, არ გაავრცელონ და არ განახლონ სამხედრო ბაზები. ასეთი ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვნად გააადვილებდა ინდოეთის ოკეანის მთელი აუზის მშვიდობის ზონად გადაქცევის იდეის განხორციელებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდოეთის ოკეანის საკითხთა სპეციალური კომიტეტის სესია

● ● ●

● ლიბერია

ახალი კონსტიტუციის პროექტი

მონროვია. **ლიბერიის საკონსტიტუციო კომისიამ დაამთავრა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის შედგენა, რომელიც უნდა შეცვალოს 1847 წელს მიღებული ძირითადი კანონი.** მისი მოქმედება შეწყდა 1980 წლის აპრილში წინანდელი რეჟიმის დამხობის შემდეგ.

როგორც კონსტიტუციის შემმუშავებელი ეროვნული კომისია იუწყება, პროექტი განსახილველად გადაეცემა სახალხო ხსნის საბჭოს — ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, შემდეგ — საკონსტიტუციო ასამბლეას. პროექტი საბოლოო სახით გამოტანილი იქნება ეროვნულ რეფერენდუმზე, რათა ქვეყანა 1985 წლის აპრილში სამოქალაქო მმართველობაზე გადავიდეს.

● გფრ-თურქეთი

უთანხმოების ვითარებაში

ბონი. **გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. თურქმენი.** იგი შეხვდა დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰ.-დ. გენშერს. საუბრისას განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე თურქეთის ურთიერთობა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან.

განმარტავენ რა მოლაპარაკებას, ადგილობრივი გაზეთები აღნიშნავენ ბრავალ პრობლემას, რომლებიც ართულებს ორი ქვეყნის კავშირურთიერთობას. განსაკუთრებით მწვავე უთანხმოებას იწვევს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრები 1,6 მილიონი თურქი მუშის მდგომარეობა. „პრობლემები იმდენად მრავალრიცხოვანია, — ბაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „შტუტგარტერ ცაიტუნგი“, ვერც კი დაიჯერებ, რომ ორივე ქვეყანა ერთ კავშირში — ნატოში შედის“.

ფოტოინფორმაცია

● ლაოსი

პირველი სრულმეტრაჟიანი

ლაოსის დედაქალაქის ცენტრში ანუს ქუჩაზე მდებარე კინოთეატრში უჩვენებენ პირველ ლაოსურ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს, რომელიც შექმნილია ვიეტნამელი მწერლის ვან ლინის რომანის „მეორე ბატალიონის“ მიხედვით. ფილმი ეძღვნება ლაოსელი ხალხის გმირულ ბრძოლას განთავისუფლებისათვის კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

კინემატოგრაფია ლაოსის ხელოვნების ყველაზე ახალგაზრდა დარგია. მის შექმნასა და ლაოსის კინემატოგრაფიისათვის ეროვნული კადრების მომზადებაში რუსეთელებს დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი.

სურათზე: კინოთეატრი ანუს ქუჩაზე.

საქდესის ფოტო.

● ნიკარაგუა

გუდისნყაროთით გმოგბენ

ვაშინგტონის უხეში პროვოკაცია რევოლუციური რესპუბლიკის წინააღმდეგ

მანაგუა. **ნიკარაგუაში საყოველთაო გულისწყრომას იწვევს ამერიკა-ჰონდურასის ერთობლივი მანევრები. რომლებშიც ორი ქვეყნის დაახლოებით 6 ათასი სამხედრო მოსამსახურე იღებს მონაწილეობას.** მანევრები ერთ კვირას გასტანს და ეწყობა უშუალოდ ნიკარაგუის საზღვრის მახლობლად, იმ ადგილებში, სადაც ათასობით სომოსელი ავაზაკს აქვს ბაზა. არმიის ნაწილებთან ერთად მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

ამ დღეებში ნიკარაგუაში მიმდინარეობს მასობრივი საპროტესტო მიტინგები, რომელთა მონაწილენი გულისწყრომით გმობენ ვაშინგტონის უხეშ პროვოკაციას რევოლუციური რესპუბლიკის წინააღმდეგ, აცხადებენ, რომ მზად არიან აღიდგინენ იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკებისაგან სამშობლოს დასაცავად.

როგორც უცხოეთის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ამერიკის სამხედრო ბაზებიდან უკვე ჩაიტანეს ჰონდურასში იარაღი და საბრძოლო ტექნიკა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები დადგან პუერტო-ლემპირის რაიონში, ნაპირზე გადასასხდომად ემზადება რამდენიმე ათასი ამერიკელი და ჰონდურასელი მედესანტე. მანევრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჰონდურასის რეჟიმმა საბრძოლოდ გამზადა თავისი შეიარაღებული ძალები.

ვაშინგტონი თავისი სამხედრო ძლიერების დემონსტრაციას აწყობს ნიკარაგუის საზღვრების მახლობლად, რათა დააშინოს ცენტრალური ამერიკის ხალხები, კიდევ უფრო მეტად გამაწვავოს კონფლიქტური სიტუაცია რეგიონში, განაცხადა ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს წევრმა სერხიო რამირესმა. მან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოსთხოვა შეწყვიტოს ცენტრალურ ამერიკაში ომის გაჩაღების პოლიტიკა და დაადგინონ რეგიონში არსებული პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების გზა.

ტექნიკის სიახლენი

მსოფლიოში უგრძესი გვირაბი

ტოკიო. ერთმანეთს შეხვდნენ გვირაბგამყვანთა ბრიგადები, რომლებსაც ორი მხრიდან გაჰყავდათ მსოფლიოში უგრძესი გვირაბი სეიკანი, ცუგარის სრუტის ფსკერის ქვეშ რომ გადის იაპონიის ხონსიუს და ჰოკადიოს კუნძულებს შორის. ამ 54-კილომეტრიანი გზის მშენებლობას თითქმის 19 წელი დასჭირდა და 531 მილიარდი იენი დაჯდა. ვარაუდობენ, რომ გვირაბი საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1986 წლის დამდეგს, მაგრამ, იუწყება კიოდო ცუსინის საგენტო, დღემდე არ არის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ამ მაგისტრალის გამოყენების თაობაზე. იაპონიის მთავრობამ მწვავე ფინანსური სიძნელეების გამო ამას წინათ უარი თქვა გვირაბში ჩქაროსნული რკინიგზის ახალი ხაზის გაყვანაზე, რომელიც წინათ იყო ნავარაუდევი.

პოლიციური ქრონიკა

განგსტერი—პოლიციელი

ტოკიო. **შეიარაღებული ძარცვის ბრალდებით ქალაქ კასივაში (ტიბის პრეფექტურა) დაპატიმრეს... პოლიციელი. განგსტერი პოლიციელი, რომელმაც იმის როლი იკისრა, ვისაც წესრიგის დამცველი უნდა ებრძოდეს, დანით ხელში შეიპრა ერთ-ერთი სავაჭრო ფირმის შენობაში და 67 ათასი იენი გაიტაცა. ახლა იგი სასამართლოს წინაშე წარდგება.**

ამ შემთხვევამ, რომელიც შეიძლებოდა კრიმინალური ქრონიკის სვეტებში ჩაკარგულიყო, უურადღება მიიქცია, ვინაიდან სულ რაღაც ერთი კვირის წინათ დიდი სკანდალი მოხდა ოსაკის პოლიციის სამმართველოში, სადაც პოლიციელთა ჯგუფი გარეული აღმოჩნდა იატაკქვეშა ბიზნესში.

ტექნიკის სიახლენი

შეთქმულება ჩაშალა

ჰავანა. **სურინამში ამხილეს მთავრობის საწინააღმდეგო ახალი შეთქმულება ოფიცერთა ჯგუფის მონაწილეობით, რომლებიც აპირებდნენ რეაქციული სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, ეროვნული სამხედრო საბჭოს დამხობას და მისი თავმჯდომარის დეზი ბოუტერსის და რევოლუციის სხვა ხელმძღვანელთა ფიზიკურ მოსპობას.**

სურინამის ეროვნული საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ პოდპოლკოვნიკ დ. ბოუტერსეს მთავრობის ერთგულმა არმიის ნაწილებმა ყველა შეთქმული დაპატიმრეს. მათ აღმოაჩინდათ დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი. მთავრობის ორგანოები მთლიანად უწევენ კონტროლს ვითარებას ქვეყანაში, დაიწყო გამოძიება.

ბოლოდროინდელი

ბრაზილიაში ბანკების ეროვნულ ბანკად გადაქცევა

ბრაზილია. **ბრაზილიის ეროვნული კონგრესი ბანკების ეროვნულ ბანკად გადაქცევის საკითხს ეხებოდა.** ეროვნული ბანკი ბანკებს ეროვნულ ბანკად ქცევა ეროვნული ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარეობს.